პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

20 დეკემბერი, სამშაბათი, 1988 წ.
№ 242 (9909) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თბილისი—ძიუდოში სტუდენტთა შორის X მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი










სტუმრები აღფრთოვანებულნი დარჩნენ ჩემპიონატის საზეიმო გახსნის ცერემონიალით. სურათზე ზევით — საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ჩხეიძე ჩემპიონატს გახსნილად აცხადებს.

# ნაცნობი და უცნობი ფავორიტები

**ყოველ** წონაში შეიძლება გამოვყოთ ლიდერი, ერთი ან ორი ფავორიტი, რომლებიც ბუნებრივია, საერთო ყურადღებით სარგებლობენ. ოღონდ ასეთი ლიდერის სატურნირო გზა მეტწილად შეუმჩნევლად იწყება და მხოლოდ ტურნირის პროცესში ხდება იგი პოპულარული. თუმცა ზოგჯერ საწინააღმდეგო სიტუაციასაც შევხვდებით — გააჩნია რამდენადაა ტიტულოვანი ფავორიტი.

შეჯიბრების პირველ დღეს, როცა მძიმე წონის ძიუდოისტები ასპარეზობდნენ, ყველამ იცოდა ვისთვის უნდა მიექციათ ყურადღება, ვინ იქნებოდა ლიდერი და ვინ გავიდოდა უსათუოდ ფინალში. ამიტომ მსოფლიო ჩემპიონი იაპონელი ნაგოია ოგავა მუდამ თვალთახედვის არეში გვყავდა და არც შევმცდარვართ. მან ადვილად გადალახა ყველა წინასწარი ზღუდე და ფინალში ფრანგ ჟორჟ მატონეს წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვა.

დაახლოებით მსგავსი სიტუაცია იგრძნობოდა 95 კგ წონაშიც, სადაც ჩვენი თანამემამულე კობა კურტანიძე გამოდიოდა. კობას წლეულს უსიამოვნო სეზონი ჰქონდა. წლის დასაწყისში მიღებულმა ტრავმამ იგი დიდი ხნით ჩამოაცილა სარბიელს და საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების ერთ-ერთი ფავორიტი სეულში ველარ გაემგზავრა.

სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატი კურტანიძისათვის ფაქტიურად სპორტული კარიერის ხელახალი დასაწყისი იყო, არა მარტო ფიზიკური, არამედ ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც და ტრავმაგადატანილმა სპორტსმენმა ეს გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა. კურტანიძე თავის წონაში სწორედ ისეთი ლიდერი იყო, რომლისგანაც მხოლოდ გამარჯვებას ელოდნენ და მან არ გააწბილა იმედები. ამის ჩინებული მაგალითი პოლონელ იაცეკ ბუტლერთან ფინალური ბრძოლა გახლდათ, რომელიც ქართველმა ძიუდოისტმა წმინდად მოიგო (3 წუთსა და 42 წამში).

სულ სხვა მდგომარეობა შეიქმნა 86 კგ წონით კატეგორიაში. აქ თავიდანვე ყურადღება ორმა მოჭიდავემ მიიპყრო — ამერიკელმა ჯო ვენეგმა და საბჭოთა ნაკრების წევრმა ოლეგ მალცევმა. ისინი ლიდერებად წარმოგვიდგნენ ტურნირის პროცესში, თორემ ტიტულები ან რაიმე განსაკუთრებული მიღწევები ადრე არც ერთს არ ჰქონია.

ამერიკელმა თავი დაგვამახსოვრა პირველივე ბრძოლის შემდეგ, როცა ინგლისელ უინსტონ სვეტმანს 45 წამში გაუმკლავდა. მაგრამ ერთი ბლიცგამარჯვება ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავდა, მას რომ მეორე, ასეთივე ელვისებური მოგება არ მოჰყოლოდა — ვენეგმა შვეიცარიელი დანიელ კოსტლერი 25 წამში დაამარცხა. მერე კიდევ ერთი გამარჯვება იყო, მონგოლ ერხენბაიარ სოდნომთან და ისევ სარეკორდოდ მოკლე დროში — 45 წამში. სამი მოგება 115 წამში — ასეთ უპირატესობას ჭიდაობაში იშვიათად შეხვდებით. ვენეგს ფინალში გასვლამდე კიდევ ერთი ბრძოლის ჩატარება მოუხდა და ისიც ვადამდე დაამთავრა — იაპონელ ხაიატო კობაიასის 3 წუთსა და 59 წამში აჯობა. უკეთეს ატესტაციას ვერც ერთი ფავორიტი ვერ ინატრებდა.

თუმცა მეორე ქვეჯგუფში, რომელსაც ბოლოს და ბოლოს ამერიკელის მეტოქე უნდა გამოევლინა, ასევე, წარმატებით მიიკვლევდა გზას საბჭოთა გუნდის წევრი ოლეგ მალცევი — ისიც ახალგაზრდა და ნაკლებად ცნობილი ძიუდოისტი. მალცევმა ჯერ სამხრეთკორეელი ლი ჰანი დაამარცხა (3 წუთსა და 4 წამში), მერე ბრაზილიელ კასტრონილ ვაგნერს მოუგო (4 წუთსა და 32 წამში), ფინალში გასვლის წინ კი დასავლეთგერმანელ სტეფან ფროიდენბერგს აჯ-

იხ. გვ. 2-3 გვ.





ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: კობა კურტანიძის — იაცეკ ბუდლერის (მარცხნივ) და ნაგოია ოგავა — ჟორჟ მატონეს ორთაბრძოლების ეპიზოდები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

# მაღალი ნდობა

**პროფკავშირთა** სრულიად საკავშირო ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საკავშირო პრეზიდიუმის საბჭომ, სპორტსაზოგადოება „დინამოს" ცენტრალურმა საბჭომ, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტკომიტეტმა „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ" კანონის 28-ე მუხლის საფუძველზე შექმნეს სსრ კავშირის საზოგადოებრივი სპორტული ორგანიზაციებისგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა საარჩევნო კომისია.

13 დეკემბერს გაიმართა საარჩევნო კომისიის სხდომა. სსრ კავშირის საზოგადოებრივი სპორტული ორგანიზაციებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ლ. ი. იაშინი, თავმჯდომარის მოადგილედ — გ. ა. ტარტიგინი, კომისიის მდივნად — გ. ნ. პროზუმენშჩიკოვა.

საარჩევნო კომისია მუშაობს პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საბჭოში. მისამართი: მოსკოვი, 109240 სოლიანკის ქ. 14/2, ტელეფონი — 227.56.56.

ქვეყნის საზოგადოებრივი სპორტული ორგანიზაციების სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა საარჩევნო კომისია გაცნობებთ, რომ „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ" სსრ კავშირის კანონის საფუძველზე საკავშირო ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „დინამოსა" და თავდაცვის სამინისტროს სპორტკომიტეტისაგან არჩეული იქნება სსრ კავშირის სამი სახალხო დეპუტატი.

საზოგადოებრივი სპორტული ორგანიზაციებისაგან სახალხო დეპუტატობის კანდიდატად შეიძლება დასახელებული იყოს ამ ორგანიზაციების ნებისმიერი წევრი. სახალხო დეპუტატობის კანდიდატებმა საზოგადოებრივი სპორტული ორგანიზაციებისაგან არ შეიძლება ერთდროულად იყარონ კენჭი ტერიტორიულ, ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქებში ან ქვეყნის სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

სახალხო დეპუტატად დასახელება უნდა მოეწყოს ფართო საჯაროობისა და სრული დემოკრატიზმის გარემოცვაში. ფიზკულტურული და სპორტული კლუბების, სპორტსაზოგადოებათა საბჭოების, საბჭოთა არმიის სპორტული კლუბების კოლექტივებს საზოგადოებრივი სპორტული საზოგადოებებისაგან შეაქვთ თავიანთი წინადადებები სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა შესახებ.

პირველადი ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების წინადადებანი უნდა განიხილონ ამ ორგანიზაციების კრებებზე, ფიზკულტურის კოლექტივების გაფართოებულ სხდომებზე და გაიგზავნოს შესაბამის საოლქო. სარაიონო. საო-

იხ. გვ. 2 გვ.

# თბილისი—ძიუდოში სტუდენტთა მსო

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ისინი ჩვენს დედაქალაქში გახდნენ ჩემპიონები**



ვერონიკა კოზლოვსკაია



გალინა ნესტეროვა



ირინა ბარაბულკინა



კატრინ ფლერი

## ნაცნობი და უცნობი ფავორიტები

(დასასრული)

ობა (ერთი კოკა და ერთიც ვაზარი).

ამ ორი, ღირსეული მეტოქის ფინალს მოუთმენლად ველოდით და მან ნაწილობრივ გაამართლა კიდეც მოლოდინი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მალცევი უფრო მომზადებული შეხვდა მთავარ ბრძოლას. ამერიკელი ტატამზე დროს უქმად არ ჰკარგავს და გამუდმებით ცდილობს რაიმე ილეთი ჩაატაროს. ეს მისი სიძლიერეც არის და... სისუსტეც, ვინაიდან ასეთ შეტევებში ერთგვარად ეფანტება ყურადღება და ზოგჯერ დაუცველიც რჩება.

მალცევის ტაქტიკა უფრო რაციონალური გამოდგა. მან კარგად შეურჩია მომენტი შეტევით გართულ მეტოქეს და გამოიყენა მისი წამიერი უყურადღებობა. ილეთი, რომელმაც საბჭოთა ძიუდოისტს წმინდა გამარჯვება მოუტანა მეორე წუთზე, უაღრესად ზუსტად, თვალის დახამხამებაში შესრულდა. მალცევი ნამდვილად ნიჭიერი, უკვე ჩამოყალიბებული მებრძოლია და დარწმუნებული ვართ, მის გვარს ხშირად გავიგებთ. 86 კგ წონაში საბჭოთა ნაკრებს ახალგაზრდა ძიუდოისტის სახით კარგი რეზერვი ეზრდება.

78 კგ წონაში მოვლენები უფრო მდორედ, შედარებით უინტერესოდ ვითარდებოდა, აქ არც გამოკვეთილი ფავორიტები იყვნენ და საგანგებო ყურადღება არც ერთ შეხვედრას არ მიუპყრია. პირველ ჯგუფში ფინალისკენ სხვებზე უფრო ჯიუტად იაპონელი ხიდეხიკო იოსიდა მიიწევდა. მან სამი ბრძოლა მოიგო, სამივე ქულებით, მაგრამ გულახდილად გითხრათ, არაფერი დაგვამახსოვრდა. მეორე ჯგუფში მეტ-ნაკლებად გამორჩეული ფრანგი ჟილ მიუსკენი გახლდათ. ფინალში ბრძოლის უფლება სწორედ ამ ორმა მოჭიდავემ მოიპოვა.

გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ბოლოს და ბოლოს გაიხსნა იაპონელი მოჭიდავე და სწორედ მაშინ გახდა ცხადი, რომ რაც უნდა იყოს, იაპონელ ძიუდოისტებთან ხუმრობა არ შეიძლება. ფრანგმა ფრთხილად დაიწყო შეხვედრა და მეორე წუთისთვის დაწინაურდა კიდეც (იუკო). იაპონელი თითქოს არ ჩქარობდა, არც ბრძოლის გამწვავებას ცდილობდა, მაგრამ ეს მოჩვენებითი სიმშვიდე ყოფილა. ფრანგი ერთ მომენტში შეცდა, ყურადღება მოადუნა და ამისათვის მკაცრადაც დაისაჯა. 2 წუთისა და 59 წამის შემდეგ იაპონელი თანაგუნდელთა მილოცვებს იღებდა.

რამდენიმე სიტყვა ქალთა ტურნირზეც. აქ ჯერჯერობით საბჭოთა კავშირის მოჭიდავეთა აშკარა უპირატესობა იგრძნობა.

საბჭოთა ძიუდოისტი ქალები ასეთი რანგის ტურნირში პირველად ცდიან ძალებს და უკვე მოპოვებული სამი ოქროს მედალი მათ შესაძლებლობაზე მეტყველებს.

**ნოდარ გუგუშვილი.**

**ტექნიკური შედეგები**

**ქალები. მძიმე წონა.** 1. ვერონიკა კოზლოვსკაია (სსრ კავშირი), 2. იზაბელ კორტავიტარდი (ესპანეთი), 3. ემანუელ მიკოლა (საფრანგეთი) და იან ჩჟანი (ჩინეთი).

**72 კგ.** 1. გალინა ნესტეროვა (სსრ კავშირი), 2. ლორანს სიონო (საფრანგეთი), 3. სტეფანია ჯევეცკა (პოლონეთი) და მი ჯუნგ ბაი (სამხრეთ კორეა).

**66 კგ.** 1. ირინა ბარაბულკინა (სსრ კავშირი), 2. შანტალ ჰაანი (ნიდერლანდები), 3. ინ ა უ (სამხრეთ კორეა) და ემანუელა პიერანტოცი (იტალია).

**61 კგ.** 1. კატრინ ფლერი (საფრანგეთი), 2. ფრაუკე ეიკჰოფი (გფრ), 3. გოტცკე მარსმანი (ნიდერლანდები) და ბოგუსლავა ოლეხნოვიჩი (პოლონეთი).

**ვაჟები.** მძიმე. 1. ნაგოია ოგავა (იაპონია), 2. ჟორჟ მატონე (საფრანგეთი), 3 სტეფანო ვენტურელი (იტალია) და იოჰენ პლატე (გფრ).

**95 კგ.** 1. კობა კურტანიძე (სსრ კავშირი), 2. იაცეკ ბუტლერი (პოლონეთი), 3. დეტლეფ კნორეკი (გფრ) და კაზუო ტობიმატცუ (იაპონია).

**86 კგ.** 1. ოლეგ მალცევი (სსრ კავშირი), 2. ჯო ვენეგი (აშშ), 3. სტეფან ფროიდენბერგი (გფრ) და ლი ჰანი (სამხრეთ კორეა).

**78 კგ.** 1. ხიდეხიკო იოსიდა (იაპონია), 2. ჟილ მიუსკენი (საფრანგეთი), 3. რამონ პინკი (გდრ) და რაშიდ იბრაჰიმოვი (სსრ კავშირი).

### გუშინ...

**თბილისის სპორტის სასახლეში კიდევ ოთხი ჩემპიონი გამოვლინდა. ქალები: 56 კგ. ჯენი ჰალი (ნიდერლანდები), 52 კგ. დომინიკ ბერნა (საფრანგეთი); ვაჟები: 71 კგ. ტოსიხიკო კოგა (იაპონია), 65 კგ. სერგეი კოსმინინი (სსრ კავშირი).**

## გვესაუბრებიან ჩემპიო

### თქვენებურ ჭიდაობას დიდ პატივს ვცემ

**საუბარი ძიუდოს აღიარებულ სპეციალისტთან**

**⊙ ბატონო იმამურა, თქვენ იაპონელი ბრძანდებით, თბილისში კი გვესტუმრეთ როგორც ამერიკელ ძიუდოისტთა მწვრთნელი.**

— დიახ, მე იაპონელი ვარ, მაგრამ უკვე 30 წელიწადია შეერთებულ შტატებში ვცხოვრობ. ვასწავლი „პრესნო სტეიტის" უნივერსიტეტში კალიფორნიის შტატში.

**⊙ რამდენი სპორტსმენი ჩამოიყვანეთ თბილისში და გყავთ თუ არა პერსპექტიული ძიუდოისტები?**

— თბილისში ჩამოვედით 5 ქალით და 5 ვაჟით, ქალებიდან ვერავის გამოვყოფ. ვაჟებიდან კი ორი საკმაოდ პერსპექტიული სპორტსმენია.

**⊙ სარგებლობს თუ არა ძიუდო პოპულარობით შეერთებულ შტატებში?**

— სიმართლე რომ გითხრათ, შეერთებულ შტატებში ძიუდო პოპულარობით ვერ დაიკვეხნის. მოგეხსენებათ, ამერიკელები ძირითადად ტანმაღალი ხალხია, ამიტომაც მათი სიმპათიები უფრო კალათბურთისკენ იხრება. დიდი პოპულარობით სარგებლობს „ამერიკული ფეხბურთი" და ბეისბოლი. გამონაკლისს ალბათ ჩვენი უნივერსიტეტი წარმოადგენს, სადაც სპორტის ძირითადი სახეობა ძიუდოა. ჩვენი სტუდენტები თითქმის ყველა ძიუდოისტთა შეჯიბრებებში იმარჯვებენ შეერთებულ შტატებში.

**⊙ რა აზრისა ხართ ქალთა ძიუდოზე?**

— ის, რომ ქალებმა ძიუდოს მოჰკიდეს ხელი, მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ ჯერჯერობით ქალთა ძიუდოს დონე არცთუ ისე მაღალია. მომავალი კი ალბათ კარგი აქვს.

**⊙ რით ახსნით იმას, რომ ბოლო წლებში იაპონელებს ისეთი დიდი წარმატებები აღარ აქვთ, როგორც ადრე?**

— ძიუდომ აღიარება ჰპოვა მთელ მსოფლიოში, შეიქმნა ძიუდოს სხვადასხვა სკოლა — საბჭოური, ფრანგული, ბელგიური, დასავლეთგერმანული. მართალია, იაპონელები ძიუდოს ფუძემდებლები არიან, მაგრამ მათ უკვე სერიოზული კონკურენტები გამოუჩნდნენ, რომლებთანაც ისინი ხშირად მარცხდებიან კიდეც.

**⊙ რა აზრისა ხართ საბჭოთა, კერძოდ, ქართველ ძიუდოისტებზე?**

— საბჭოთა ძიუდოისტები ყოველთვის გამოირჩევიან კარგი ფიზიკური მომზადებით და ტექნიკით. რაც შეეხება ქართველებს, ვიცი, რომ ისინი ძალიან ხშირად იყენებენ თქვენებური ჭიდაობის ილეთებს და საკმაოდ წარმატებითაც. მე ვიცნობ ქართულ ჭიდაობას და დიდ პატივს ვცემ. ახლა მომხიბლა კურტანიძემ, მართლაც მთელი თავით მაღლა დგას სხვებთან შედარებით.

**⊙ ბატონო იმამურა, რას იტყვით ჩემპიონატის ორგანიზაციაზე?**

— მხოლოდ კარგს. მადლობა მინდა გადავუხადო ჩემპიონატის ორგანიზატორებს და მასპინძლებს იმ ყურადღებისა და სითბოსათვის, რასაც ისინი ჩვენს მიმართ ავლენენ.

**თემურ ჯიშიაშვილი.**

### კიმონო

**სტუდენტ** ძიუდოისტთა ჩემპი-ონატზე ყვავილებით ხე... ნებულ ქალ სპორტსმენ... ქმის ყოველ ფეხის ნაბიჯ... დებით. ყვავილები მოაქვ... შემატკივრებს, თაყვანის... და წესრიგის დამცველ... შეიძლება თამამად ითქვას... მპიონატზე ჩამოსულმა ძი... მა ქალებმა ნამდვილად ... რეს თბილისელთა გულებ... ისრაელის გუნდის წარ... ნელს იაელი არადის ყ... თბილისში გამოძებნილმა ... მიართვა. მართალია, იგი ... თესავი არ იყო, მაგრამ...

— ყოველი ფეხის ნაბი... რებს ხალხი, — ამბობს იაე... ცნიან, მეფერებიან, მე... ისრაელში თავიანთი ახლ... შესახებ. თქვენ წარმოიდგ... ვრი საერთო ნაცნობი ... ნეთ. ამ სითბოს მე მხოლ... ვნებით ებრაელებისგან ... ვგრძნობ. ჩინებული ხალხ... ლხართ ქართველები!

— აქ გავიგე, — საუბ... რთო ხადარ იორამი, ისრა... უდოისტთა ნაკრების მწ..., რომ საქართველოში ბევ... ველი ებრაელია. ეს ... მობს, რომ ისინი თქვენ...

## ჩემპიონი ძიუდ

**ერთადერთი** უცხოელი ძიუდოისტი ქალი, რომელმაც შეძლო საბჭოთა სპორტსმენებს გამკლავებოდა, ფრანგი კატრინ ფლერი გახლდათ. ფინალში მან სულ რაღაც 33 წამში დაამარცხა ფრაუკე ეიკჰოფი (გფრ). ამ შეხვედრის დამთავრების შემდეგ მას ინტერვიუ ჩამოვართვით.

**⊙ ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ ფინალში ძალზე იოლად გაიმარჯვეთ.**

— არც ისე იყო საქმე. უბრალოდ, ჩემს მეტოქეს უკვე ვიცნობ, მასთან დამარცხებაც კი მოვასწარი, შარშან, თქვენს ქვეყანაში გამართულ ტურნირზე ეიკჰოფმა ბეჭებზე გამშალა. ახლა კი, როგორც ხედავთ, რევანში ავიღე.

**⊙ გვიამბეთ თქვენს ... ნაბიჯებზე სპორტში.**

— მე პარიზის ახლოს პატ... ფელში გავიზარდე. სოფელ... ორი სპორტული ჯგუფი ... ფეხბურთის და ძიუდოს... ჩემი ორი ძმა ძიუდოზე ჩა... ახლაც სამივე იქ ვვარჯიშ...

**⊙ თქვენ სამიდან ვის აქ... რო კარგი შედეგები?**

— ჯერჯერობით მე ვარ ... სიამაყე. რამდენჯერმე გა... ჩემი ქვეყნის იუნიორთა პი... ბებზე, წლეულს კი მოზ... ჩემპიონატში მეორე ადგილ... კავე. წლეულსვე, ივლისში, ... აში საერთაშორისო ტურნ... ვიგე. ევროპის ჩემპიონატზ... დად გამოვედი.

## მაღალი ნდობა

(დასასრული)

ლქო, სამხარეო, რესპუბლიკურ სპორტსაზოგადოებებში ან საბჭოთა არმიის სპორტკლუბებში. ამ კოლეგიურმა ორგანოებმა პირველად ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებთან ერთად უნდა იმსჯელონ წამოყენებულ კანდიდატურებზე და ზემდგომ ორგანიზაციაში შეიტანონ შეთანხმებული წინადადება.

რესპუბლიკური სპორტსაზოგადოებებისა და საბჭოთა არმიის სპორტკლუბების საბჭოები 1989 წლის 10 იანვრამდე თავიანთ კონფერენციებზე, პლენუმებზე, აქტივების და პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომებზე განიხილავენ კანდიდატურებს და თავიანთ წინადადებებს წარადგენენ პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საკავშირო საბჭოში, სპორტსაზოგადოება „დინამოს" ცენტრალურ საბჭოში, თავდაცვის სამინისტროს სპორტკომიტეტში.

რესპუბლიკური სპორტორგანიზაციებიდან მიღებულ ყველა წინადადებას განაზოგადებს საარჩევნო კომისია და წარადგენს პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საკავშირო საბჭოს, საზოგადოება „დინამოსა" და თავდაცვის სამინისტროს სპორტკომიტეტის პლენუმებზე, რომლებიც გაიმართება 1989 წლის იანვრის მეორე დეკადაში. აქ მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების თაობაზე.

წინადადებათა განზოგადებისას ყურადღება მიექცევა პირველ ყოვლისა იმ კანდიდატურებს, რომლებმაც ფართო მხარდაჭერა ჰპოვეს პირველადს სპორტორგანიზაციებში, სპორტსაზოგადოებების საბჭოებსა და საბჭოთა არმიის სპორტკლუბებში.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატების დასახელებისას ფიზკულტურის ორგანიზაციისა და სპორტორგანიზაციის ყველა წევრს ყველა პირობა უნდა შეექმნას თავისი აზრის გამოსათქმელად.

კრების ან სპორტორგანიზაციის ყოველ წევრს შეუძლია წამოაყენოს თავისი კანდიდატურა დეპუტატობის კანდიდატად განსახილველად.

კანდიდატთა სია გამოქვეყნდება საჯარო განხილვისათვის.

ქვეყნის სპორტული ორგანიზაციები დაინტერესებულნი არიან იმით, რომ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულნი იყვნენ სპორტულ ორგანიზაციათა ყველაზე ავტორიტეტული პირები, გარდაქმნის ყველაზე აქტიური მონაწილენი, რომლებსაც შესწევთ უნარი ღირსეულად წარმოადგინონ და დაიცვან ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების ინტერესები ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სახელმწიფოებრივ ორგანოში.

**სსრ კავშირის საზოგადოებრივი სპორტული ორგანიზაციების სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა საარჩევნო კომისია.**

# ...Х მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი



ნაგოია ოგავა



კობა კურტანიძე



ოლეგ მალცევი



ხიდეხიკო იოსიდა

**ისინი ჩვენს დედაქალაქში გახდნენ ჩემპიონები**

# ...ატის მონაწილეები, მწვრთნელები, სტუმრები

## ...ნი ქალები ყვავილებით ხელში

მეგობრულად ცხოვრობენ და ბევრი ისრაელში აღარ მიდის. თქვენი მიწის წარმომადგენლებს ისრაელში ხშირად შევხვედრივარ და საქართველოს ისინი ყოველთვის სიყვარულით და ნოსტალგიით იგონებენ. ქართველ ებრაელთაგან ჩვენთან ძიუდოს ცნობილი მოჭიდავეებიც არიან. მაგალითად, ისრაელის ჩემპიონია იუნიორთა შორის სიმონ მიდლაშვილი, ქვეყნის პრიზიორია მალხაზ მამისთვალოვი, ეს სპორტსმენი სამბოშიც გამოდის.

**⊙ წელს „ლელო" იუწყებოდა, რომ სეულის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას მიიღებდა პირველი მოკრივე ისრაელიდან, წარმოშობით თბილისელი არონ იაკობაშვილი, შემდეგ ვეღარაფერი შევიტყეთ მის შესახებ.**

— არონ იაკობაშვილი ჩვენში ძალიან ცნობილი მოკრივეა. იგი ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონია, მაგრამ სეულში ხელი მოეცარა. ერთი გამარჯვების შემდეგ შეხვედრა წააგო და ბრძოლას გამოეთიშა.

**⊙ იაელ, ამბობენ, ისრაელები, ქართველებისა არ იყოს, ტრადიციის ერთგული ხალხია, ქალი და ტატამი?..**

— არა მხოლოდ ტრადიციების, რელიგიის ერთგულებიცა ვართ. მაგრამ ადამიანი ბრმად არ უნდა მიყვე ტრადიციებს, ცხოვრება წინ მიდის, ქალები უკვე კოსმოსშიც დაფრინავენ.

**⊙ ძიუდოთი თქვენი გატაცება ვაჟებთან ურთიერთობაში პრობლემებს ხომ არ გიქმნით?**

— პრობლემა მხოლოდ ისაა, რომ ძიუდოს გადამკიდე ვაჟებისთვის ნაკლებად მცალია.

**შეკითხვა მწვრთნელს: პოპულარულია თუ არა ისრაელში ძიუდო?**



იაელ არადისი და ხადარ იორამი.

— უნდა გითხრათ, რომ ჩვენთან ძიუდო წინ დგას, ვიდრე კრივი და ჭიდაობის სხვა სახეობები, თუმცა ძიუდო პირველობას ვერ დაიჩემებს. ძიუდო ჩვენში განსაკუთრებით მოზარდებსა და იუნიორებს შორისაა პოპულარული.

**⊙ იაელ, გარეგნულად ძნელია თქვენი ასაკის ამოცნობა, იუნიორი ბრძანდებით?**

— გმადლობთ კომპლიმენტისათვის. პირდაპირ გეტყვით: ამჟამად 21 წლისა ვარ, მაგრამ „სოლიდურ" მოჭიდავედ მხოლოდ ასაკის მიხედვით როდი ვითვლები. ვარ ისრაელის ცხრაგზის ჩემპიონი. მსოფლიოს ჩემპიონატზე 1986 წელს მეშვიდე ვიყავი, წელს გფრ-ში და ინგლისში გამართულ საერთაშორისო ტურნირებზე შესაბამისად მეორე და მესამე ადგილი დავიკავე.

ჩემი თანაგუნდელი ღუდ მაგენი ისრაელის ცამეტგზის ჩემპიონია. ჩვენი ქვეყნის დელეგაციაში მხოლოდ ეს ორი სპორტსმენი შეგვიყვანეს.

— მამაკაცი ძიუდოისტები ჯერჯერობით ტატამზე სუსტ სქესზე სუსტად გამოიყურებიან და ამიტომ ისინი ჩემპიონატზე არ ჩამოვიყვანეთ — დასძინა იორამ ხადარმა.

## სენსაციური ინტერვიუ

ჩემპიონატზე საბრძოლო განწყობით ჩამოვიდა გფრ-ის ქალთა გუნდის წარმომადგენელი რეგინა სიგმუნდი, მაგრამ...

**⊙ რეგინა, რატომ არ იღებთ მონაწილეობას ჩემპიონატში?**

— თბილისში ჩამოვედი თუ არა, თავი ცუდად ვიგრძენი, ეტყობა მანამდე მოვიწამლე და პირველი სიმპტომები აქ ვიგრძენი.

**⊙ ამით თქვენ გამარჯვების შანსი დაკარგეთ?**

— სითამამეში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ თავის იმედი ნამდვილად მქონდა, სეულის ოლიმპიადაზე ქალთა საჩვენებელ გამოსვლაში მესამე ადგილი დავიკავე.

**⊙ ეს თქვენი საუკეთესო შედეგი იყო?**

— ალბათ კი, თუმცა, მსოფლიო უნივერსიადების ორგზის გამარჯვებული ვარ. შარშან მსოფლიო ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მოვიგე.

**⊙ უკაცრავად, თქვენი წონა და სიმაღლე.**

— მე გამოვდივარ 72 კგ წონით კატეგორიაში, ჩემი სიმაღლეა 175 სმ.

**⊙ ეს ხომ შესანიშნავი მონაცემებია სილამაზის დედოფლის სახელისთვის...**

— ხომ ხედავთ, აქაც მომეცარა ხელი.

**⊙ დიდი ხანია ძიუდოში ვარჯიშობთ?**

— მეთხუთმეტე წელიწადია.

**⊙ გამოდის, რომ ძიუდო თქვენი პირველი სიყვარულია...**

— არა, ძიუდომდე ცურვით ვიყავი გატაცებული.

**⊙ ასაკს ხომ არ გაგვიმხელდით?**

— რატომაც არა, 25 წლისა ვარ.

**⊙ ოჯახი თუ გყავთ?**

— არა, ვცხოვრობ ეულად, ვსწავლობ იოჰანეს გუტენბერგის უნივერსიტეტში, ვარ მომავალი იურისტი. მყავს ძაღლი სახელად შივა.

**⊙ კერძის დამზადება თუ იცით?**

— ძალიან მიყვარს იტალიური სამზარეულო, თითქმის ყოველდღე ვამზადებ სპამეტს.

**⊙ პიცაზე როგორა ხართ? თბილისში გვაქვს პიცას კოოპერატივი...**

— ოო, პიცა ჩემი უსაყვარლესი კერძია.

**⊙ მაშ გეპატიჟებით...**

## ...სტთა ოჯახიდან

**⊙ ვარჯიშზე ალბათ ძმები კარგად გეხმარებიან.**

— რა თქმა უნდა, მაგრამ სპარინგ-პარტნიორად მაინც ჩემი მეგობარი კატრინ არნო მირჩევნია. ის უკვე მსოფლიო ჩემპიონია და მისგან ბევრ რამეს ისწავლი.

**⊙ თბილისში პირველად ხართ, მაგრამ თუ გსმენიათ ქართველი ძიუდოისტების შესახებ.**

— მე არაერთხელ ვნახე თქვენი ბიჭები პარიზის საერთაშორისო ტურნირზე, აი, ძიუდოისტ ქალებზე კი ვერაფერს გეტყვით.

**⊙ რა სურვილები გაქვთ ახლა, ამ გამარჯვების შემდეგ?**

— თბილისის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა. ვთვლი, რომ ამ შეჯიბრებაში გამარჯვება დიდი ბედნიერებაა, ოღონდ ჯერ, რასაკვირველია, ტურნირში ქალებიც უნდა დაუშვან.

**⊙ რა მოგეწონათ ყველაზე უფრო აქ, თბილისში?**

— ქალაქი ჯერ არ მინახავს. ჯერ შეჯიბრების შთაბეჭდილებებს ვერ დავაღწიე თავი. ძალიან მესიამოვნა, რომ ქართველ სპორტსმენს ლიანა ცოტაძეს დამამსგავსეს. კარგი იქნებოდა, რომ მისი შედეგებიც გამემეორებინა, ის ხომ ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

**ამ ნომრის ინტერვიუები აიღეს პეპი ბოჭორიშვილმა, ალა ზენკომ და თენგიზ თომაშვილმა.**

## ერთის ნახვით შეყვარება

**სტუდენტთა** შორის პირველი მსოფლიო ჩემპიონი (ქალებში), როგორც უკვე გაცნობეთ, გახდა ბელორუსიის ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველკურსელი ვერონიკა კოზლოვსკაია. გთავაზობთ ინტერვიუს გამარჯვებულთან.

**⊙ როგორ დაიწყეთ ძიუდოში ვარჯიში?**

— ალბათ არ დამიჯერებთ, მაგრამ ბავშვობაში სპორტს არ გავკარებივარ, ფიზკულტურის გაკვეთილებსაც კი ვაცდენდი. არც მშობლებს და მით უმეტეს, არც ფიზკულტურის მასწავლებელს, ცხადია, არ ახარებდათ ჩემი საქციელი. ოთხი წლის წინ კი მეგობრებთან ერთად ძიუდოისტი გოგონების ვარჯიში ვნახე სპორტულ სკოლაში. აი, მაშინ გადავწყვიტე ძალები მეცადა.

**⊙ რამდენად გაამართლა ჭიდაობამ თქვენი მოლოდინი?**

— რამდენჯერმე ვარჯიში მივატოვე, მაგრამ სახლში დიდხანს ვერ ვძლებდი. კინო, მეგობრები, გართობა — ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ მივხვდი, რომ ძიუდო — ეს რაღაც განსაკუთრებულია. ვარჯიშზე უფრო თამამი და გაბედული ვხდებოდი.

**⊙ იქნებ თქვენ პირველ მნიშვნელოვან გამარჯვებას გაიხსენებდით?**

— ვარჯიშის დაწყებიდან სულ რაღაც ექვსი თვის შემდეგ ბელორუსიის პირველობა მოვიგე. მეტოქეები გაცილებით უფრო გამოცდილები იყვნენ და ამ გამარჯვების წყალობით კიდევ უფრო გამიტაცა ძიუდომ.

**⊙ სხვა წარმატებები?..**

— სხვა გამარჯვებებს კი რეგულარული ვარჯიშებით მოვაღწიე და ისინი კანონზომიერად მიმაჩნია.

**⊙ თქვენ გამოდიხართ როგორც მძიმე, ისე აბსოლუტურ წონით კატეგორიაში. სად უფრო ძნელია ჭიდაობა?**

— აბსოლუტურში ბევრი უფრო მსუბუქი წონითი კატეგორიის მონაწილე გამოდის. ისინი კი ყველანი უფრო სწრაფები, მოქნილები და აგრესიულები არიან. მათთან ჭიდაობა ძნელია.

**⊙ რა შედეგები გაქვთ საერთაშორისო შეჯიბრებებში?**

— ორჯერ გამოვედი პოლონეთში, საერთაშორისო ტურნირში. ერთხელ გავიმარჯვე კიდეც. შარშან ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში მესამე ადგილი დავიკავე. და აი, ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება აქ, თბილისში. მე არც მჯეროდა, რომ ყველა ორთაბრძოლა უკან დარჩა და მე მსოფლიო ჩემპიონი ვარ.

**⊙ რაზე ოცნებობთ?**

— რა თქმა უნდა, ოლიმპიურ ტატამზე.

## ჩემპიონი აფხაზეთიდან

**1967 წელს** დაბადებულ და უმცროსი ასაკის ძიუდოისტთა საკავშირო პირველობაზე, რომელიც კრასნოიარსკში გაიმართა, „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ნაკრებ გუნდში გამოდიოდა ორი სოხუმელი სპორტსმენი — თენგიზ პაჭკორია და თამაზ ჭელიძე.

თენგიზ პაჭკორია ერთ-ერთ ორთაბრძოლაში დამარცხდა და გამოეთიშა ბრძოლას, თ. ჭელიძემ კი ხუთი წმინდა გამარჯვება მოიპოვა, მათ შორის ქვეყნის ორ ექსჩემპიონთან და დაიმსახურა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება. იგი შეიყვანეს ოლიმპიური ნაკრების რეზერვში.

თამაზი შვიდი წელია ძიუდოს მისდევს. იგი იყო სსრ კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადის მეორე პრიზიორი. „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის, 1984 წელს კი მეორე ადგილი დაიკავა სსრ კავშირის თასის გათამაშებაში. დაიბადა გულრიფშის რაიონის მაღალმთიან სოფელში, ახლა მუშაობს აფხაზეთის „დინამოს" საბჭოს ინსტრუქტორად და სწავლობს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. კმაყოფილია მისი მწვრთნელი, აფხაზეთის ძიუდოისტთა უფროსი მწვრთნელი რ. მაისურაძე: ახლა ავტონომიური რესპუბლიკის სამი სპორტსმენი შედის ქვეყნის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში — მ. თვალაძე და ა. დგებუაძე ახალგაზრდული ნაკრების წევრები არიან, თ. ჭელიძე კი „მოზრდილთა" ნაკრების წევრი გახდა.

(საქინფორმი).

## სამი დღე გზატკეცილზე

გლდანი-ცხვარიჭამიას გზატკეცილზე სტარტი აიღო საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების პირველობამ საგზატკეცილო ველორბოლაში. ქალთა შეჯიბრება მწვავე ბრძოლაში ქობულეთელმა ნატალია ალიოშინამ მოიგო, ვაჟებში პირველი სამი ადგილი ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: ანდრეი იურტაევი (თბილისი), დიმიტრი ვლასენკო (ქობულეთი), სერგეი მალცევი (თბილისი).

გლდანიდან შეჯიბრების მონაწილეებმა თბილისის ზღვის მიდამოებში გადაინაცვლეს. მეორე დღის პროგრამა სწორედ წრიული რბოლა გახლდათ. ვაჟებმა და ქალებმა სტარტი ერთად აიღეს, მაგრამ ამ უკანასკნელებმა ორი წრის შემდეგ დაამთავრეს რბოლა. გაიმარჯვა თბილისელმა ელენე ალიევამ — 1:15.05. ვაჟებს ოთხი წრის დაძლევა მოუხდათ. აქ ყველას ქუთაისელმა ბაჩუკი ხორგუანმა აჯობა.

პროგრამის მესამე სახეობა იყო რბოლა ჯვრის მონასტრის მიდამოებში. ქალთა შეჯიბრებაში კვლავ ალიევამ იმარჯვა (1:07.00), ვაჟებში კი არტურ გრიგორიანმა (2:28.15).

**ავთანდილ ბუნია.**

# საქველმოქმედო მატჩი: „ნაპოლი“ (ნეაპოლი) — „დინამო“ (თბილისი)

**სომხეთში** მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ გულგრილი არავინ დატოვა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელს პლანეტაზეც. ძნელი ჩამოსათვლელიცაა საიდან არ უწვდიან დახმარების ხელს მიწისძვრისგან დაზარალებულთ. დაირაზმნენ ადამიანები, მოდის უამრავი შეწირულება, უზარმაზარი თანხები, მატერიალური ფასეულობანი, მდიდარი ტექნიკა, სურსათ-სანოვაგე, სხვა ათასი რამ. ერთი სიტყვით, მსოფლიო ფეხზე დადგა.

დაზარალებულთ დახმარების ხელი გაუწოდეს მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის სპორტულმა ორგანიზაციებმაც, კერძოდ, საფეხბურთო კლუბებმა. ევროპის ცნობილმა პროფესიულმა კლუბმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ბრემენის „ვერდერმა“ ერევნის „არარატს“ საერთაშორისო საქველმოქმედო მატჩი შესთავაზა.

ასეთივე კეთილშობილური ჟესტი გააკეთა იტალიის „ნაპოლიმაც“ (ქ. ნეაპოლი), კლუბმა, სადაც საქვეყნოდ სახელგანთქმული არგენტინელი ფეხბურთელი, მსოფლიო ჩემპიონი დიეგო მარადონა თამაშობს.

სსრ კავშირის სპორტსახკომის სახელზე იტალიიდან მოვიდა დეპეშა, რომელსაც ხელს აწერენ „ნაპოლის“ პრეზიდენტი კორადო ფერლაინო და გუნდის ალიარებული ლიდერი დიეგო მარადონა. „ნაპოლის“ სურვილია თავის მინდორზე საერთაშორისო საქველმოქმედო მატჩი გამართოს საბჭოთა კლუბთან, კერძოდ, თბილისის „დინამოსთან“ და მთელი შემოსავალი გადაურიცხოს მიწისძვრისაგან დაზარალებული სომხეთის ქალაქებს.

იტალიელ ფეხბურთელთა ამ კეთილშობილურ განზრახვას თბილისის დინამოელები დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ და, თუმცა, ახლა ყველაზე უფრო შეუსაბამო დროა ასეთ ძლიერ კლუბთან ოფიციალური საერთაშორისო შეხვედრის ჩასატარებლად, დინამოელებმა მაინც მტკიცედ გადაწყვიტეს დათანხმებოდნენ „ნაპოლის“ წინადადებას. საქმე ისაა, რომ თბილისის „დინამო“ იმ უძნელესი სეზონის შემდეგ, სადაც მას მრავალი რთული ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი, შვებულებაში იმყოფებოდა. ხაჭირო გახდა მოთამაშეთა სასწრაფო თავმოყრა, ასევე სახელდახელო წესით პირველი ვარჯიშების ჩატარება, რათა რამდენადმე მაინც დამაკმაყოფილებელ სპორტულ ფორმაში შეხვედროდა „ნაპოლისთან“ ძნელ მატჩს. თითოეული დინამოელი მობილიზებული და გამზადებულია საიმისოდ, რომ ღირსეულად ითამაშოს ამ ადრეულ ეტაპზე, როცა ელემენტარულ მზადყოფნაზეც კი ლაპარაკი ზედმეტია კლუბთან, სადაც გამოდიან თვით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი დიეგო მარადონა, აგრეთვე, კარეკა, დი ნაპოლი, კარნევალე და სხვა (მწვრთნელი ოტავიო ბიანკი). გარდა ამისა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ევროპის ქვეყნებში, კერძოდ იტალიაში, ახლა გაცხარებული საფეხბურთო სეზონია, „ნაპოლი“ ამჟამად საუკეთესო ფორმაში იმყოფება, ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი უპირველესი ლიდერია და 1988-89 წლების უეფა-ს თასის გათამაშების მეოთხედფინალშიც გავიდა, სადაც მისი მეტოქე იტალიის „იუვენტუსი“ იქნება, მაგრამ ყველაფერი ეს ახლა უკანა პლანზე უნდა გადავიდეს. თბილისის დინამოელებმა მთელი შესაძლებლობით უნდა იბრძოლონ, რათა ღირსეული თამაში აჩვენონ თამაშზე მოსულ მაყურებელს. მოგება-წაგებას ამ შემთხვევაში ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც თვით მატჩს, რომლის მთელი შემოსავალი დაზარალებულთ გადაეცემა.

ზედმეტი არ იქნება თუ გავიხსენებთ, რომ ნეაპოლის „ნაპოლი“ და თბილისის „დინამო“ ერთ შეჯიბრებაში უკვე შეხვდნენ ერთმანეთს. ეს იყო 1982 წლის შემოდგომით, როცა უეფა-ს თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალში დაწყვილდნენ „დინამო“ და „ნაპოლი“. 15 სექტემბერს დინამოელებმა თბილისში მიიღეს მეტოქე და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1. დინამოელთაგან ბურთები გაიტანეს ხიზანიშვილმა და შენგელიამ, ხოლო ნეაპოლელთაგან — დიასმა.

ორი კვირის შემდეგ, 29 სექტემბერს, „ნაპოლიმ“ თავის ქალაქში უმასპინძლა „დინამოს“ და დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. ეს ბურთი დელ ფიუმემ გაიტანა 59-ე წუთზე. ორი მატჩის ჯამში ანგარიში თანაბარი გახდა — 2:2, მაგრამ მეტოქის მინდორზე დიასის მიერ გატანილმა ბურთმა „ნაპოლის“ გამარჯვება მოუტანა და მეთექვსმეტედფინალშიც იგი გავიდა. იმ მატჩებში იტალიელთა გუნდში გამოდიოდნენ კასტელინი ბრუსკოლოტი, დიასი დელ ფიუმე, ვინაცანი, პელეგრინი და სხვანი, ხოლო თბილისის „დინამოში“ — გაბელია, ჩივაძე, ხიზანიშვილი, ხინჩაგაშვილი, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, მესხი, შენგელია, ცაავა და სხვანი.

თბილისის „დინამო“ თავისებურ „ექსპრეს-ვარჯიშს“ შეუდგა 17 დეკემბერს. 21 დეკემბერს გუნდი მოსკოვს გაემგზავრება, შემდეგ კი — იტალიას. 24 დეკემბერს ნეაპოლი „სან-პაულოს“ სტადიონზე, რომელიც 90 ათას მაყურებელს იტევს, გაიმართება ეს ღირსსახსოვარი საქველმოქმედო მატჩი, რიგით მესამე შეხვედრა თბილისის „დინამოსა“ და ნეაპოლის „ნაპოლის“ შორის.

ფეხბურთი

## შვეციის ქალაქში

**ევროპის** საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა საბოლოოდ დაადგინა, რომ ევროპის 1992 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი გაიმართება შვეციაში. მატჩები შედგება სტოკჰოლმის, გეტებორგის, ნორჩეპინგისა და მალმეს სტადიონებზე. ამის თაობაზე ჟურნალისტებს ესაუბრა შვეციის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი ლენარტ იოჰანსონი.

— ჩვენს განკარგულებაშია პირველხარისხოვანი სტადიონები, რომლებიც უკვე ახლა პასუხობენ საჭირო სტანდარტებს, — განაცხადა მან ციურიხში. — მაგრამ მაინც საჭირო სამუშაოებს ჩავატარებ ამ ბაზების წესრიგში მოსაყვანად, საამისოდ შვეციის ხელისუფლებამ სათანადო ფინანსური შემწეობაც აღგვითქვა. ჩვენს პირველ გეგმას, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირი დანიასთან ერთად ჩაგვეტარებინა, უეფა-მ მხარი არ დაუჭირა, შესაძლოა, ეს უკეთესიცაა. ყველაფერს უმაღლეს დონეზე მოვაწყობთ.

# საკონტინენტთაშორისო თასი „ნასიონალს“

**იაპონიის** დედაქალაქში შედგა საკონტინენტთაშორისო თასის მატჩი ფეხბურთში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის მფლობელი ურუგვაის „ნასიონალი“ (ქ. მონტევიდეო) და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი ჰოლანდიის „ეინდჰოვენი“.

ამ პოპულარული პრიზის გათამაშებათა ისტორიაში მხოლოდ ურუგვაის „პენიაროლმა“ შეძლო სამჯერ გამარჯვების მოპოვება ევროპის საუკეთესო კლუბებთან შეხვედრებში, ახლა კი „მონტევიდეოს“ ამავე ქალაქის გუნდი „ნასიონალი“ გაუთანაბრდა, რომელმაც ტოკიოს ოლიმპიურ სტადიონზე, 63 ათასი მაყურებლის თანდასწრებით საკონტინენტთაშორისო თასი მესამედ მოიპოვა (მანამდე „ნასიონალმა“ გაიმარჯვა 1971 და 1980 წლებში).

უნდა აღინიშნოს, რომ იაპონიას, კერძოდ ქალაქ ტოკიოს, საკონტინენტთაშორისო თასის ჩატარების მონოპოლური უფლება აქვს, სამხრეთ ამერიკისა და ევროპის უძლიერესი გუნდები იაპონური საავტომობილო ფირმა „ტოიოტას“ პრიზზე ერთ გადამწყვეტ მატჩში ხვდებიან ერთმანეთს.

თამაშის მე-7 წუთზე ანგარიში გახსნა ურუგვაელმა ფეხბურთელმა ოსტალასამ. სამხრეთამერიკელებს შემდგომშიც დიდი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ 75-ე წუთზე რომარიომ თავისი გუნდის ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევა საპასუხო გოლით დაამთავრა—1:1.

დაინიშნა დამატებითი დრო. 110-ე წუთზე „ნასიონალის“ საჯარიმო მოედანზე ერთმანეთს შეეტაკნენ ურუგვაელი და ჰოლანდიელი ფეხბურთელები, კოლუმბიელმა მსაჯმა დ. პალასიომ მცველის. მხრივ წესის დარღვევა მიიჩნია და 11-მეტრიანი დანიშნა. „ეინდჰოვენის“ ფეხბურთელმა რ. კუმანმა ზუსტად დაარტყა მიზანში — 2:1.

მატჩის დასასრულს სულ ერთი წუთი აკლდა, ურუგვაელებმა შეძლეს სახიფათო მომენტის შექმნა „ეინდჰოვენის“ კართან და იმავე ოსტალასამ მეორე ბურთი გაიტანა მეტოქის კარში — 2:2.

დამატებითი პენალტების დარტყმისას ურუგვაელმა ფეხბურთელებმა მეტი სიზუსტე გამოიჩინეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 7:6.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნიეს „ნასიონალის“ ფეხბურთელი ოსტალასა, ფირმა „ტოიოტას“ ბოლო მარკის საუცხოო ავტომანქანაც მას გადასცეს ჯილდოდ.

საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებებში (1960 წლიდან) სამხრეთ ამერიკის გუნდებმა გამარჯვება მოიპოვეს 17-ჯერ, ხოლო ევროპელებმა 10-ჯერ. 1975 და 1978 წლებში ეს მატჩები არ გათამაშებულა.

## „სპორტლოტო“

**გუშინწინ** მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, 51-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 7 (კლასიკური ჭიდაობა), 11 (ფრენბურთი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 17 (ციგურაობა), 22 (წყალში ხტომა), 29 (სასტენდო სროლა).

„სპორტლოტო 5 36-დან“: 3 (ბობსლეი), 12 (ტანვარჯიში), 22 (წყალში ხტომა), 24 (ხელბურთი), 31 (ფარიკაობა).

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

## „სწრაფი ჭადრაკი“ და ანატოლი კარპოვი

**მექსიკის** საკურორტო ქალაქ მატაცლანში დამთავრდა „სწრაფ ჭადრაკში“ (30-30 წუთიანი პარტიები) მსოფლიო პირველობის ფინალური ტურნირი.

ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ანატოლი კარპოვი და ვიქტორ გავრიკოვი. ძირითადი 8 პარტია ფრედ (4:4) დასრულდა. დამატებითმა ორმა პარტიამაც ვერ გამოავლინა გამარჯვებული (ამ შემთხვევაშიც საყაიმო ანგარიში აღინიშნა — 1:1) და მხოლოდ ძირითად ტურნირში უკეთესი მაჩვენებლების გამო მსოფლიო ჩემპიონის წოდება ანატოლ კარპოვს მიეკუთვნა.

## დედაქალაქის პირველობაზე

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს დედაქალაქის მოჭადრაკე ვაჟთა მე-60 ჩემპიონატი. გთავაზობთ X-XI ტურების ტექნიკურ შედეგებს.

**X ტური:** ნეჩაევი-ჩიქოვანი — 1:0, მოვსესიანი-ლობჟანიძე — 0:1, მესტვირიშვილი-თანდაშვილი — 0:1, ხანთაძე-ვაშაკიძე — 1:0, ცქიტიშვილი-სხილაძე — 1:0, გოგიჩაიშვილი-დაბრუნდაშვილი — 1:0, გადაიდო ხაჩიძე-მიქაელიანის პარტია, ხოლო პაქსაშვილ-სიგუას შეხვედრა გადატანილია.

**XI ტური:** დაბრუნდაშვილი-ხანთაძე — 0:1, სხილაძე-გოგიჩაიშვილი — 0:1, ჩიქოვანი-ცქიტიშვილი — 1:0, სიგუა-ნეჩაევი — 0:1, ლობჟანიძე-მესტვირიშვილი — 1:0, გადაიდო თანდაშვილ-პაქსაშვილისა და მიქაელიან-მოვსესიანის პარტიები, ვაშაკიძე-ხაჩიძის შეხვედრა კი გადატანილია.

11 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: გივი გოგიჩაიშვილი — 8 (1), დავით ლობჟანიძე — 7,5 (2), იური ნეჩაევი — 7 (1), გია ცქიტიშვილი — 7, დავით პაქსაშვილი — 6 (4).

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

### იტალია

მე-9 ტური. „ასკოლი“ — „ჩეზენა“ 1:1, „ატლანტა“ — „პიზა“ 1:0, „ბოლონია“ — „ტორინო“ 2:0, „ფიორენტინა“ — „პესკარა“ 3:2, „ვერონა“ — „ნაპოლი“ 0:1, „იუვენტუსი“ — „სამპდორია“ 0:0, „ლეჩე“ — „ლაციო“ 1:0, „მილანი“ — „ინტერი“ 0:1, „რომა“ — „კომო“ 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ინტერი“ | 9 | 16-3 | 17 |
| „ნაპოლი“ | 9 | 23-8 | 15 |
| „იუვენტუსი“ | 9 | 18-12 | 12 |

### ესპანეთი

მე-15 ტური. „ვალენსია“ — „ოსასუნა“ 3:2, „ესპანიოლი“ — „სან სებასტიანი“ 1:1, „ატლ. მადრიდი“ — „სარაგოსა“ 3:1, „ატლ. ბილბაო“ — „ბარსელონა“ 3:2, „სევილია“ — „ვალიადოლიდი“ 2:4, „ლოგრონიესი“ — „მურსია“ 0:0, „ოვიედო“ — „ვიგო“ 4:0, „კადისი“ — „რეალი“ 0:2, „ელჩე“ — „ხიხონი“ 0:0, „მალაგა“ — „ბეტისი“ 2:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი“ | 15 | 35-15 | 25 |
| „ბარსელონა“ | 15 | 30-11 | 23 |
| „ატლ.“ მადრიდი“ | 15 | 31-19 | 18 |

### შოტლანდია

მე-19 ტური. „სელტიკი“ — „აბერდინი“ 0:0, „დანდი იუნაიტედი“ — „ჰიბერნიანი“ 4:1, „ჰამილტონი“ — „დანდი“ 1:0, „ჰართსი“ — „რეინჯერსი“ 2:0, „სენტ მირენი“ — „მოზერეული“ 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეინჯერსი“ | 19 | 29-14 | 27 |
| „დანდი იუნაიტედი“ | 19 | 25-11 | 25 |
| „აბერდინი“ | 19 | 23-16 | 25 |

### შვეიცარია

22-ე ტური. „სიონი“ — „იანგ ბოისი“ 1:1, „სერვეტი“ — „ლოზანა“ 1:1, „ვეტინგენი“ — „ლუგანო“ 1:1, „ქსამაქსი“ — „ლუცერნი“ 0:0, „გრასჰოპერსი“ — „სენტ გალენი“ 3:0, „ბელინცონა“ — „არაუ“ 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლუცერნი“ | 22 | 27-25 | 28 |
| „გრასჰოპერსი“ | 22 | 41-29 | 27 |
| „ბელინცონა“ | 22 | 34-27 | 25 |

### ჰოლანდია

მე-16 ტური. „ჰარლემი“ — „სიტარდი“ 2:2, „როდა“ — „მასტრიჰტი“ 1:1, „ტვენტე“ — „ფეიენოორდი“ 6:1, „სპარტა“ — „ვოლენდამი“ 3:0, „აიაქსი“ — „დენ ბოში“ 5:1, „ვალვიკი“ — „უტრეხტი“ 5:3, „ვეენდამი“ — „ტილბურგი“ 1:1, „ცვოლე“ — „ვენლო“ 2:2, „ეინდჰოვენ“ — „გრონინგენის“ მატჩი გადაიდო.

| | | |
|---|---|---|
| „ეინდჰოვენი“ | 14 | 23 |
| „აიაქსი“ | 16 | 22 |
| „სიტარდი“ | 16 | 22 |

### ბელგია

მე-18 ტური. „სტანდარდი“ — „ვარეგემი“ 2:1, „შარლერუა“ — „ლიეჟი“ 1:1, „ბეერსკოტი“ — „ლოკერენი“ 2:2, „რესინგი“ — „ბრიუგე“ 1:1, „მოლენბეკი“ — „სენტ ტრუდენი“ 1:2, „ანდერლეჰტი“ — „გენკი“ 6:1, „სერკლი“ — „მეჰელენი“ 0:2, „ბევერენი“ — „ანტვერპენი“ 1:1, „კორტრიკი“ — „ლიერსი“ 4:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მეჰელენი“ | 18 | 34-13 | 30 |
| „ანდერლეჰტი“ | 18 | 44-16 | 29 |
| „ლიეჟი“ | 18 | 39-14 | 26 |

### რუმინეთი

მე-17 ტური. „ტირგუ მურეში“ — „სტიაუა“ 1:5, „რაპიდი“ — „არჯესი“ 2:0, „მორენი“ — „ბრაშოვი“ 3:2, „ოლტი“ — „ბაკაუ“ 3:2, „კრაიოვა“ — „ვიქტორია“ 2:2, „დინამო“ — „გალატი“ 6:3, „სპორტული“ — „სიბიუ“ 1:0, „ჰუნედოარა“ — „კონსტანცა“ 1:0, „კლუჟი“ — „ორადეა“ 0:0.

| | | |
|---|---|---|
| „დინამო“ | 17 | 33 |
| „სტიაუა“ | 17 | 33 |
| „ვიქტორია“ | 17 | 21 |

### პორტუგალია

მე-17 ტური. „გიმარაეში“ — „პორტიმონენსე“ 0:0, „ესპინიო“ — „ვისეუ“ 1:0, „სპორტინგი“ — „ბელენენსეში“ 0:0, „სეტუბალი“ — „პორტო“ 0:0, „შავიში“ — „ბეირა“ 0:0, „პენაფიელი“ — „მარიტიმო“ 1:1, „ბოავისტა“ — „ფარენსე“ 1:1, „ამადორა“ — „ბენფიკა“ 1:2, „ნასიონალი“ — „ლეიქსოეში“ 2:0, „ფაფე“ — „ბრაგა“ 1:4.

| | | |
|---|---|---|
| „ბენფიკა“ | 17 | 28 |
| „პორტო“ | 17 | 24 |
| „სპორტინგი“ | 17 | 22 |

(საქ. ინფ.).

**სსრ კავშირის 56-ე ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა შორის**

**„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი)**

**21 დეკემბერს**

კიროვის სახელობის პარკის პავშვთა კალათბურთის სასახლეში

დასაწყისი 20 საათზე

◆

**22 დეკემბერს**

თბილისის სპორტის სასახლეში

დასაწყისი 20 საათზე

**თბილისის სპორტის სასახლე**

25 დეკემბერი

**საქართველოს აბსოლუტური ფალავნობა**

**ქართულ ჭიდაობაში**

გათამაშდება სახელოვანი მოჭიდავეების ს. კანდელაკის, ა. მეკოკიშვილის, ნ. ესებუას, ზ. ბაკურაძის და სხვათა პრიზები.

დასაწყისი 15 საათზე.

**თბილისის მძლეოსნობის სასახლე**

**19 დეკემბრიდან** თბილისის მძლეოსნობის სასახლეში მუშაობას იწყებს ჩინური ტანვარჯიშის (უ-შუ) სააბონიმენტო ჯგუფი. მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 18 საათიდან.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სასახლის სამედიცინო კაბინეტის საკონსულტაციო პუნქტს 17 სთ-დან 20 სთ-მდე. ტელეფონები: 34-70-09 და 35-16-96.

**დავოსი.** მსოფლიო თასის მესამე ეტაპი თხილამურებით 10 კილომეტრზე რბენაში იჟევსკელმა იულია შამშურინამ მოიგო — 32.48,50. სამი ეტაპის ჯამში დაწინაურდა ესტონელი ელენა ვიალბე, რომელსაც 55 ქულა აქვს. საბჭოთა მოთხილამურეებმა ყველას აჯობეს ესტაფეტაშიც 4X5 კმ — 1:00,03,8. გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: ლარისა ლაზუტინა, იულია შამშურინა, თამარა ტიხონოვა და ელენა ვიალბე.

**ლონდონი.** ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირი ვაჟთა შორის მოიგო ვოროშილოვგრადელმა გენადი ზადოროჟნიმ, რომელმაც აბსოლუტურ პირველობაში 57,50 ქულა დააგროვა. ქალთა შორის ყველას რობინ რიჰტერმა (აშშ) აჯობა. კიეველ ოქსანა ომელიანჩიკს მესამე შედეგი აღმოაჩნდა.

ინდექსი 66485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 05634